ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2183906

ნომერი: AR1339900

თარიღი : 07.09.2015

გაცემის თარიღი : 10.09.2015

გაცნობის თარიღი : 29.10.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შეშელიძის ქუჩა N3 (ფეიქრების ქუჩა N14.);

დამკვეთი-განმცხადებელი

- შოთა შატაიძე პ/ნ 24001012505
- კასპი ს. ახალციხე

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს ,,ბლოკ ჯორჯია 2012" კოდი: 432540556

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:
-მოთხოვნის ტექსტში განმარტეთ საპროექტო ობიექტების ფუნქციური დანიშნულება.
-წარმოადგინეთ გ.მინდელიძის ქუჩის მხრიდან გადაღებული ფოტოსურათები და მათზე დამუშავებული საპროექტო ფოტომონტაჟები. გაითვალისწინეთ: ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს და იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ობიექტები ქაღნიშნული ქუჩის მხრიდან ხილვადია, არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად არ მიაჩნია წარმოდგენილი ფოტომონტაჟის და პროექტის მიხედვით მშენებლობის განხორციელება, წარმოდგენილი ვიზუალური მხარე საჭიროებს უფრო მეტად დახვეწა–გადამუშავებას, როგორც არქიტექტურულ–მოცულობითი თვალსაზრისით, ისე მოსაპირკეთებელი მასალებისა და ფერის გადაწყვეტის ნაწილში, გამოყენებულ იქნას თანამედროვე მოსაპირკეთებელი მასალები და წარმოდგენილ იქნას შენობის მოცულობით–არქიტექტურული გადაწყვეტის ალტერნატიული ვარიანტი.
-საჯარო რეესტრის მონაცემებით მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა შპს "ლიტ ჯეო ინვესტი", რომლის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი არის ვალერი გელაშვილი, ხოლო განცხადებით მოგვმართავთ მოქ. შოთა შატაიძე. აქედან გამომდინარე წარმოადგინეთ მოქ. ვალერი გელაშვილის მინდობილობა ან აღნიშნული პირი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.
-ვინაიდან მიწის ნაკვეთი დატვირთულია იპოთეკით, წარმოადგინე აღნიშნული იპოთეკარის თანხმობა მიწის ნაკვეთზე მშენებლობასთან დაკავშირებით.
გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.